ხელშეკრულება № 67
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 19 ივნისი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ტარიელ ჭანტურიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“ და მეორეს მხრივ შპს „თელავის ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის თამილა თეიმურაზიშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“, ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის“ მიერ შპს „თელავის ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი“-სათვის, ლაბორატორიული მომსახურების გაწევა.
1.2. CPV კოდი (დეტალური) 71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები.
1.3. დაფინანსების წყარო - 2018 წლის საკუთარი შემოსავლები.
1.4. შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.
1.5. შესყიდვის საფუძველი - მონეტარული ზღვრის დაცით.

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანების მე-3 მუხლის 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

2.2. „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილება.

3. ხელშეკრულების ობიექტი

3.1. ლაბორატორიული კვლევების წარმოება შემდეგი მიმართულებებით: მიკრობიოლოგიური, სეროლოგიური, ბიოქიმიური, ვირუსოლოგიური, მოლეკულურ - ბიოლოგიური, პარაზიტოლოგიური.

4. მხარეთა ურთიერ–მოვალეობები

4.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს:

4.1.1. „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად კვლევას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის კახეთის განყოფილების ლაბორატორია.

4.1.2. ლაბორატორიული ტესტირებებისათვის ნიმუშების მოსამზადებლად საჭირო მოწყობილობებისა და საგნების დროებით სარგებლობაში ნიმუშების წარმოდგენამდე გადაცემას სათანადო მიღება–ჩაბარების აქტებით, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.1.3. ჩატარებული ლაბორატორიული ტესტირებების გამოკვლევების შედეგების მიწოდებას, როგორც ელექტრონულ ფორმატში, ასევე სპეციალურად ამ მიზნით წინასწარ დადგენილი ფორმებით.

4.2. „შემსყიდველი“ უზრუნველყოფს:

4.2.1. „მიმწოდებელის“ მიერ გადაცემული, ნიმუშების მოსამზადებლად საჭირო მასალის მიზნობრივ გამოყენებასა და სათანადო დაცვას.

4.2.2. საკვლევი ნიმუშების მომზადებას „მიმწოდებელის“ მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიებით (დანართი N5) და უსაფრთხო მოწოდებას რეგიონალური დეპარტამენტის ზონალურ სადიაგნოსტიკო ლაბორატორიაში .

4.2.3. ნიმუშების თანმხლები სარეგისტრაციო ფორმების სრულად შევსებას (დანართი 3, დანართი 4).

4.2.4. „მიმწოდებელის“ პერსონალის ხელშეწყობას ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცვის სტანდარტების შეფასების და მონიტორინგის პროცესში. ბიოუსაფრთხოების სამოქმედო ოპერაციული პროცედურების შესრულებას.

4.2.5. ხარისხის კონტროლის სისტემის მოთხოვნების და ოპერაციული პროცედურების დაცვას. გარე და შიდა აუდიტის განხორციელების ხელშეწყობას.

4.2.6. ლაბორატორიული მასალის მოთხოვნის, მიღების და ხარჯვის ამსახველი დოკუმენტაციის წარმოებას დანართი 2–ის შესაბამისად.

4.2.7. ლაბორატორიული ნიმუშების ხარისხის კონტროლზე მუდმივ ზედამხედველობას.

5. ფინანსური ურთიერთ–მოვალეობები

5.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 1900 (ათასცხრაასი).

5.2. ლაბორატორიული კვლევები და ტარიფები განსაზღვრულია 2015 წლის 14 სექტემბერის „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და

გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N468 დადგენილებით (დანართი N1).

5.3. ცვლილებები ლაბორატორიული კვლევების ტარიფებში წერილობითი სახით ეცნობება „შემსყიდველს“ ცვლილებამდე ორი კვირით ადრე.

5.4. . „მიმწოდებელი“ ყოველი თვის 5 რიცხვამდე წარუდგენს „დამკვეთს“ გასული თვის შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტაციას (შესრულებული სამუშაოების უწყისი).

5.5. „შემსყიდველი“ ვალდებულია შესრულებული სამუშაოს უწყისის საფუძველზე მიმდინარე თვის 25 რიცხვამდე უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება დანართი #1-ში მითითებული ტარიფების შესაბამისად.“

5.6. თუ „შემსყიდველი“ გადააცილებს შესრულებული სამუშაოს საფასურის გადახდის ვადას, იგი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, გაწეული მომსახურების ღირებულების 0.1%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დავალიანების სრულ დაფარვამდე.

5.7. დანართი #1-ით განსაზღვრული მომსახურების ტარიფები, კონტრაქტორის მიერ რეაქტივებითა და სახარჯი მასალებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მცირდება 30%-ის ოდენობით.

5.8. არსებული ფინანსური ურთიერთვალდებულებების დასადგენად მხარეები ვალდებულები არიან პირველი ურთიერთშედარების აქტი შეადგინონ ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის შემდეგ, 10 დღის ვადაში, ხოლო მეორე ურთიერთშედარების აქტი მომდევნო წლის 10 იანვრამდე. აღნიშნულის გარდა, მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვონ ურთიერთშედარების აქტის გაფორმება, რომლის გაფორმება სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა.

6.1. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოქმედებს ხელმოწერის დღიდან და ძალაშია: 2019 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო მომსახურების მიწოდების ვადა 2018 წლის 31 დეკემბრამდე ამ მუხლის მე- 5.5 პუნქტის გათვალისწინებით.

6.2. ხელშეკრულებაში შეტანილი დამატებები და შესწორებები დადგენილი წესით ძალაში შედის მხოლოდ მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ.

6.3. დანართი N1, N2, N3, N4 და N5 წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

6.5. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლისა და ორივე მხარის მიერ ურთიერთ კრედიტორულ–დებიტორული დავალიანების დაფარვის შემდეგ.

6.6. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე იყოს შეწყვეტილი:

6.7. მხარეთა შეთანხმებით.

6.8. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს ნებისმიერ დროს ერთპიროვნულად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება „შემსყიდველის“ მხრიდან დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „შემსყიდველს“ დავალიანების და პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან.

6.9. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე ერთი მხარე წერილობით ატყობინებს მეორეს შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე.

7.კონფიდენციალურობა

7.1. მხარეები თანახმანი არიან ამ ხელშეკრულების დადების და შესრულების პერიოდში ერთმანეთისთვის გადაცემული და გადასაცემი მთელი ინფორმაცია მიიჩნიონ კონფიდენციალურ ინფორმაციად (ხოლო, კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში - კომერციულ საიდუმლოებად) და იღებენ ვალდებულებას არანაირი სახით არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გახადონ ის ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.2 მხარეები იღებენ ვალდებულებას მთლიანად აანაზღაურონ მეორე მხარისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებით გამოწვეული ზიანი.

8. მხარეთა რეკვიზიტები.

„მიმწოდებელი“	„შემსყიდველი“
სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მის: თბილისი, ასათიანის N9 ს/კ 211324351 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი: TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707077027	შპს „თელავის ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი“ ს/კ 231184232; მის: ქ. თელავი, ალადაშვილის ქ.#2 მომსახურე ბანკი;ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი: 220101469 ა/ნ GE53LB011311229523000
გენერალური დირექტორის მოადგილე ტარიელ ჯანტურიძე	**დირექტორი** თამილა თეიმურაზიშვილი